სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო“-ს მიერ მოზურგეთის აბანოს კონსერვაციისა და გადახურვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვაზე 2013 წლის 12 აპრილს გამოცხადებულ კონკურსზე (საკონკურსო განცხადების #723) წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებების

რ ე გ ი ს ტ რ ა ც ი ა

#	კონკურსანტის დასახელება	დოკუმენტაციის წარდგენის თარიღი და დრო	ხელმოწერა
1	ქგს „ინსტიტუტი დ კომპანია“	24.04.2013 15:30 სთ	
2	„ეიბ „ სა ქართველოს ტიპოგრაფია	17:53 სთ 24.04.2013	
3	ქგს „ინტაბანი“	17:57 სთ 24.04.2013	
4			
5			
6			
7			
8			
9			
10			

საკონკურსო აპარატის წევრი
გ.გოგაძე

ელექტრონული საგადახდო დავალება N 374
"23" აპრილი 2013

რეფერენსი
1892397552

გადამხდელის დასახელება: შპს "რესტავრატორები და კომპანია"

ანგარიში (დებეტი): GE46BG0000000248620100GEL
248620100(ძველი ანგ.)

გადამხდელის ბანკი:
სს "საქართველოს ბანკი"

ბანკის კოდი: BAGAGE22

თანხა	50-00

თანხა სიტყვებით
ორმოცდაათი ლარი 00 თეთრი

გადამხდელის დასახელება: შპს "რესტავრატორები და კომპანია"

საიდენტ. კოდი/პირადი ნომერი: 205047199

მიმღების დასახელება: სსიპ "კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო"

საიდენტ. კოდი:

ანგარიში/სახაზინო კოდი (კრედიტი): GE52BR0000010591718543

მიმღების ბანკი:
სს "ბანკი რესპუბლიკა"

ბანკის კოდი: REPLGE22

ბანკის აღნიშვნები

ბანკში შემოსვლის თარიღი:

გატარებულია ბანკის მერ: 23.04.13

ხელმოწერა

"ს.ს. საქართველოს ბანკი"
J.S.C. "BANK OF GEORGIA"
შექმნილია ინტერნეტ ბანკში
CREATED IN INTERNET BANK

გადახდის დანიშნულება: შემსყიდველი: სსიპ "საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო" ს/კ 204562311 კონკურსანტი: შპს "რესტავრატორები და კომპანია" ს/კ 205047199 საკონკურსო განცხადების ნომერი : #723

დამატებითი ინფორმაცია:

ხელმოწერები: ხელმძღვანელი

ბ. ა.

სატენდერო წინადადების საგარანტიო უზრუნველყოფა #T30988-13

თბილისი 23 აპრილი 2013 წელი

გარანტი: სს „საქართველოს ბანკი" (შემდგომში „გარანტი")

გარანტის საიდენთიფიკაციო კოდი: 204378869

გარანტის მისამართი: გაგარინის ქ. #29ა, თბილისი, 0160, საქართველო

პრინციპალი: შპს რესტავრატორები და კომპანია (შემდგომში „პრინციპალი")

პრინციპალის საიდენთიფიკაციო კოდი: 205047199

პრინციპალის მისამართი: საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ნუცუბიძის III მ-ნი, I კვარტ. კორპ.11 ბ.39

ბენეფიციარი: სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო (შემდგომში „ბენეფიციარი")

საგარანტიო თანხა: 200 (ორასი) ლარი

ვითვალისწინებთ რა, რომ პრინციპალი მზად არის წარმოადგინოს თავისი სატენდერო წინადადება ბენეფიციარის სატენდერო კომისიის მიერ ოზურგეთის აბანოს კონსერვაციისა და გადახურვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურის მიზნით გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

სს „საქართველოს ბანკი" ვიღებთ გამოუთხოვად ვალდებულებას ბენეფიციარის წინაშე, რომლის მიხედვითაც დროულად და სრულად უზრუნველყოფთ ბენეფიციარისათვის ჯამურად 200 (ორასი) ლარის გადახდას შემდეგ შემთხვევებში:

1. თუ სატენდერო წინადადების გახსნის შემდეგ პრინციპალმა უარი განაცხადა ტენდერში მონაწილეობაზე, თავისი სატენდერო წინადადების მოქმედების ვადის დასრულებამდე;
2. თუ პრინციპალი გამარჯვების შემთხვევაში უარს განაცხადებს ბენეფიციართან სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებაზე;
3. თუ პრინციპალი დისკვალიფიცირებულ იქნა შესყიდვის პროცედურების დროს არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენის გამო.

გარანტიის მოქმედების ვადა არის: 23 ივნისი 2013 წელი, შესაბამისად წინამდებარე გარანტია მოქმედებს აღნიშნული თარიღის ჩათვლით.

ბანკი უზრუნველყოფს საგარანტიო თანხის გადახდას ბენეფიციარის მოთხოვნის მიღებისთანავე, ბენეფიციარის მხრიდან ყოველგვარი მტკიცებულების წარმოდგენის გარეშე, იმ პირობით, რომ ბენეფიციარის მოთხოვნაში მითითებულ იქნება, რომელი ზემოაღნიშნული შემთხვევ(ებ)ის დადგომის გამო ეკუთვნის მას ეს თანხა და შემსყიდველის მოთხოვნა საგარანტიო თანხის გადახდაზე წარედგინება ბანკს გარანტიის მოქმედების ვადის გასვლამდე მისამართზე: სს „საქართველოს ბანკი" (ს/კ: 204378869), სათაო ოფისი, გაგარინის ქ. #29ა, თბილისი 0160, საქართველო, თბილისის დროით (UTC/GMT +04:00 hours) 5 საათამდე, კანცელარიის სამსახურში, ვაჭრობის ფინანსირების დეპარტამენტის საყურადღებოდ.

წერილობითი ფორმით წამოყენებულ ბენეფიციარის მოთხოვნას საბანკო გარანტიაზე თანხის ანაზღაურებასთან დაკავშირებით თან უნდა ერთვოდეს საბანკო გარანტიის ასლი და მოთხოვნაზე ხელმომწერი პირის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.

საბანკო გარანტია ავტომატურად უქმდება:

- საბანკო გარანტიის ვადის გასვლით.
- ბენეფიციარის მიერ გარანტიიდან გამომდინარე თავის უფლებებზე წერილობით უარის თქმისა და საბანკო გარანტიის ორიგინალის გარანტისათვის დაბრუნებისას.

წინამდებარე საბანკო გარანტია რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

ეთერ ჩხეიძე
გარანტიების სამსახურის უფროსი

დანართი N 1

1.რეკვიზიტები:

კონკურსანტის იურიდიული ფორმა და დასახელება: შპს "რესტავრატორები და კომპანია"

ხელმძღვანელის სახელი და გვარი: თამაზ იაქაშვილი

კონკურსანტის იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ნუცუბიძის III მ/რ I კვ. XI კორპ. ბ. 39

კონკურსანტის ფაქტიური მისამართი: ქ. თბილისი, ნუცუბიძის III მ/რ II კვ. კორპ. 3ა

საიდენტიფიკაციო კოდი: 205 047 199

კონკურსანტის ტელეფონის ნომერი: (+995 32) 2 32 07 43, 5 77 444 618

ელექტრონული მისამართი: info@restavratorebi.ge

ბანკის კოდი: BAGAGE22

ანგარიშსწორების ანგარიში: GE46BG 0000000 248 620 100

2. საკონკურსო წინადადების ფასი: 19 990,24

3. საკონკურსო წინადადების მოქმედების ვადა: 2013 წლის 24 მაისის ჩათვლით

4. ავანსის გამოყენების შემთხვევაში საავანსო თანხის ოდენობა პროცენტულად: 0%

შპს "რესტავრატორები და კომპანია"-ს დირექტორი

თამაზ იაქაშვილი

ინფორმაცია პრეტენდენტის გამოცდილების შესახებ

№	პროექტის დასახელება	შესსრულების თარიღი
1	თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ფასადის რესტავრაციის პროექტი	2006 წ.
2	სსიპ ქუთაისის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სახელმწიფო ისტორიულიმუზეუმის სარეაბილიტაციო და ახალი შენობის საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება	2007 წ.
3	აჭარის არქიტექტორთა კავშირის შემოქმედებითი სხლის ფასადის რესტავრაციის	2007 წ.
4	ქ. თბილისში, ასათიანის ქ. № 27/17, № 25/20, № 25, № 23/23, № 50, № 48, № 46, № 44, № 42ა; ტაბიძის ქ. № 21 და № 22 შენობების გარე ფასადების კომპლექსური რეკონსტრუქცია- რესტავრაციის საძირკვლებისა და მზიდი კონსტრუქციების გამაგრების, კომუნიკაციების: წყალსადენის, კანალიზაციის, სანიაღვრეს რეაბილიტაციის კომპლექსური პროექტის (მუშა/ესკიზური) მომზადება	2007 წ.
5	სოფ. წინანდალში,ალ. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის საპროექტო კვლევითი სამუშაოები	2008 წ.
6	ბაგრატის ტაძრის რეაბილიტაციის პროექტი	2008-2009 წწ.
7	ქ. თბილისში, ორბელიანის № 8 და № 10 სახლების რეაბილიტაციის პროექტი	2008 წ.
8	ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის I კორპუსის გარე ფასადის რესტავრაციის პროექტი	2009 წ.
9	ქ. თბილისში, ჯავახიშვილის № 6 , ინგოროყვას № 14 და ქურდიანის № 17 შენობების აღდგენა-გამაგრების პროექტი	2009 წ.
10	ს. ჯანაშიას სახელობის ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიური კორპუსის ფასადის (გუდიაშვილის ქუცის მხრიდან) რესტავრაციის პროექტი	2009 წ.

შპს "რესტავრატორები და კომპანია"-ს დირექტორი

თამაზ იაქაშვილი

დანართი N 2

აფიდავიტი

საკონკურსო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე

გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მიღების მიზნით, ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება შემუშავებულია კონკურენტისგან დამოუკიდებლად. ასევე ვადასტურებ, რომ:

* ჩემთვის ცნობილია, რომ საკონკურსო წინადადება დისკვალიფიცირებული იქნება, თუ აღმოჩნდა, რომ აფიდავიტში მოცემული ინფორმაცია არის ყალბი ან/და ცრუ;

* უფლებამოსილი ვარ პრეტენენტის მიერ, ხელი მოვაწერო ამ აფიდავიტს და წარვადგინო ეს საკონკურსო წინადადება;

* ნებისმიერი პირი, რომლის ხელმოწერაც დაფიქსირებულია საკონკურსო წინადადებაზე, შესაბამისად უფლებამოსილია კონკურსანტის მიერ;

* ჩემთვის ცნობილია რომ ტერმინი "კონკურენტი" აფიდავიტის მიზნებიდან გამომდინარე, გულისხმობს ნებისმიერ პირს, რომელიც შესაძლებელია იყოს კონკურსანტი ან/და წარადგინოს საკონკურსო წინადადება ამ კონკურსში;

* მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით კონკურსანტსა და კონკურენტს შორის არ წარმოებულა კონსულტაცია, კომუნიკაცია, შეთანხმება ან მოლაპარაკება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- საკონკურსო წინადადების ფასი;
- საკონკურსო წინადადების ფასის გამოთვლის მეთოდი, კოეფიციენტი ან ფორმულა;
- საკონკურსო წინადადების წარდგენა ან წარდგენისგან თავის შეკავება;
- ისეთი საკონკურსო წინადადების განზრახ წარდგენა, რომელიც არ აკმაყოფილებს გამოცხადებული

საკონკურსო პირობებს;

- შესყიდვის ობიექტის ხარისხი, მოცულობა, ტექნიკურიპირობები ან მიწოდების დეტალები,

რომელთაც ეხება საკონკურსო წინადადება;

* საკონკურსო წინადადების პირობები კონკურსანტს წინასწარი განზრახვით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, არ გაუმჟღავნებია ან/და არგაუმჟღავნებს კონკურენტს საკონკურსო წინადადების განსაჯაროების მომენტამდე.

გავეცანი ამ აფიდავიტის შინაარსს და ვადასტურებ წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობას.

თანხმობა

შპს "რესტავრატორები და კომპანია"-ს დირექტორი

თამაზ იაქაშვილი

ნანა ინწკირველი

რჩეულიშვილის ქ. 32-ა
თბილისი, 0106
საქართველო
ტელ: 832 2382595
მობ: 595 477 557
e-mail: nanu_intskirveli@yahoo.com

პირადი მონაცემები:

დაბადების თარიღი - 1980 წლის 20 ივლისი

დაბადების ადგილი - საქართველო, ქ. ოზურგეთი

მოქალაქეობა - საქართველოს მოქალაქე

ოჯახური მდგომარეობა – დაოჯახებული

განათლება:

1986-1997 - ქ. თბილისის გ. ტაბიძის სახელობის 51-ე საშ. სკოლა.

1997-2003 - ქ. თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, არქიტექტურის ფაკულტეტი, სპეციალობა - არქიტექტორ-რესტავრატორი.

2010-2010 - თავისუფალი უნივერსიტეტი – CBA **(Certified Business Administrator)** ბიზნეს ადმინისტრირება და მენეჯმენტი.

პროფესიული გამოცდილება: იხ. დანართი 1

2002-2004 საქართველოს რესტავრაციის ცენტრი, არქიტექტორ-რესტავრატორის თანამდებობაზე.

2004-2007 შ.პ.ს. „აკრიანი", არქიტექტორ-რესტავრატორის თანამდებობაზე.

2008-2010 შ.პ.ს. „რესტავრატორები და კომპანია", უფროსი არქიტექტორ-რესტავრატორის თანამდებობაზე.

2011-2011 სასწავლო ცენტრი შ.პ.ს. „ბი დი სი აკადემია", საოფისე და გრაფიკული პროგრამების ინსტრუქტორი.

2011 შ.პ.ს. „ივერთმშენი", წამყვანი არქიტექტორის თანამდებობით.

ენები:

ქართული – მშობლიური
რუსული – სრულყოფილად
გერმანული – Start Duetsch I სერთიფიკატი
ინგლისური – თავისუფლად

კომპიუტერული პროგრამები: **AutoCAD, ArchiCAD, Photoshop, Word, Excell, PowerPoint, Internet.**

დანართი 1

2002 - ბოდბის წმ. ნინოს და წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის აზომვითი სამუშაოები და რესტავრაციის პროექტი;

2003 - რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის ისტორიული ნაწილის - „ქიმერიონის" აზომვითი და საპროექტო-სარესტავრაციო სამუშაოები;

2003 - გეთსამანიის ეკლესია, აზომვითი სამუშაოები;

2003 - სვეტიცხოვლის კომპლექსის გალავნის კოშკები, აზომვითი სამუშაოები;

2004 - კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი, სარესტავრაციო სამუშაოები;

2004 - ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია, მცირე დარბაზის არქეოლოგიური ანაზომი და რესტავრაცია – რეკონსტრუქციის პროექტი;

2004 - ქ. თბილისის რუსთაველის ქუჩა №54-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის სარესტავრაციო და საპროექტო სამუშაოები;

2004 – ამბროლაურის რაიონი, ხიმშის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის აზომვითი სამუშაოები;

2005 - ქ. თბილისის თაბუკაშვილის ქ. №4 საცხოვრებელი სახლის აზომვითი სამუშაოები;

2005 - ქ. თბილისის ლესელიძის ქ. №36-ში მდებარე შენობის (ყოფილი ქარვასლა) არქიტექტურულ-არქეოლოგიური ანაზომი;

2005 - ხაშმის იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის რესტავრაციის პროექტი;

2005 - სამსართულიანი საოჯახო სასტუმრო ურეკში (თანამედროვე გეგმარება);

2005 - ქ. თბილისის ავლევის ქ.№ 19-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის აზომვითი სამუშაოები;

2006 - ქ. ფოთის საკათედრო ტაძრის ანაზომი და საპროექტო სამუშაოები;

2006 - ორსართულიანი კოტეჯი (მანსარდით) საგურამოში (თანამედროვე გეგმარება);

2006 - ორსართულიანი კოტეჯი (მანსარდით) შეკვეთილში (თანამედროვე გეგმარება);

2006 - ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ფასადების არქიტექტურულ-არქეოლოგიური ანაზომი და საპროექტო სამუშაოები;

2006 - ატენის წმ. გიორგის ეკლესიის საპროექტო-სარესტავრაციო სამუშაოები;

2006 - წალკის იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის საპროექტო-სარესტავრაციო სამუშაოები.

2007 - ახალციხის „ზედა ჯვარი", არქეოლოგიური ანაზომი და საპროექტო სამუშაოები.

2007 - ქ. ბათუმის ყოფილი არქიტექტორთა კავშირის შენობა. არქიტექტურულ-არქეოლოგიური ანაზომი.

2007 - ქ. თბილისი, დიდუბის "ღვთისმშობლის სახელობის" ეკლესია. არქიტექტურულ-არქეოლოგიური ანაზომი და საპროექტო სამუშაოები.

2007 - ქ. თბილისი, აღმაშენებლის №105 მდებარე ყოფილი სასტუმრო „ვეტცელი" არქიტექტურულ-არქეოლოგიური ანაზომი.

2007 - ქ. თბილისი, "მამადავითის ეკლესია". არქიტექტურულ-არქეოლოგიური ანაზომი და საპროექტო სამუშაოები.

2007 – ქ. თბილისი – საცხოვრებელი სახლის ინტერიერის მოწყობა – ავეჯის დიზაინი.

2007 - ქ. თბილისი, აპოლონ ქუთათელაძის სახელობის „თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია". არქიტექტურულ-არქეოლოგიური ანაზომი და საპროექტო სამუშაოები.

2008 – სოფ. წინანდალი, ალ. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის არქეოლოგიური ანაზომი. რესტავრაციის პროექტის ავტორი.

2008 – კოტორაანთ კარის მცირე ეკლესია, არქეოლოგიური ანაზომი.

2008 – ქ. ქუთაისი, ბაგრატის ტაძრის არქეოლოგიური ანაზომი.

2008 – გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფელი ვაჩნაძიანი, ვაჩნაძიანის ყველაწმინდას რესტავრაციის, კონსერვაციის და ადაპტაციის პროექტები.

2008 – ივ. ჯავახიშვილის სახ. უნივერსიტეტის I კორპუსის არქიტექტურული ანაზომი.

2008 – ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, სოფელი არგვეთა, დედაღვთისას არქეოლოგიური ანაზომი.

2008 - ქ. თბილისი – საცხოვრებელი სახლის ინტერიერის მოწყობა – ავეჯის დიზაინი.

2008 – სავაჭრო ფართი თბილისის შემოსასვლელში კახეთიდან (თანამედროვე გეგმარება);

2009 – ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, სოფელი არგვეთა, დედაღვთისას რესტავრაციის პროექტი.

2009 – საჩხერის რაიონი, სოფელი დურეევი, საპროექტო სამუშაოები.

2009 – ქ. ქუთაისი, ბაგრატის ტაძრის რესტავრაციის საპროექტო სამუშაოები.

2009 – ქ. თბილისი, ინგოროყვას №14-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის არქეოლოგიური ანაზომი.

2009 – ქ. თბილისი, ჯავახიშვილის №6-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის არქეოლოგიური ანაზომი.

2009 – ქ. თბილისი, ზ. ქურდიანის №17-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის არქეოლოგიური ანაზომი.

2009 – გუდიაშვილის №10, ჯანაშიას მუზეუმის არქეოლოგიური ანაზომი და ფასადის რესტავრაციის პროექტი.

2009 – ი. ჭავჭავაძის გამზირი №1, სახელმწიფო უნივერსიტეტის I კორპუსის არქეოლოგიური ანაზომი და ფასადების რესტავრაციის პროექტი.

2009 – ქ. ქუთაისი, ბაგრატის ტაძრის რესტავრაციის მუშა-საპროექტო სამუშაოები

2010 - ქ. ქუთაისი, ბაგრატის ტაძრის არქეოლოგიური სამუშაოები – ანაზომი.

2011 - ამბროლაურის მუნიციპალიტეტი, კლდისუბნის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია. არქეოლოგიური ანაზომი და სარესტავრაციო პროექტი.

2011 - ქ. მცხეთა, ბებრისციხე – აზომვითი სამუშაოები.

2011 - ახალციხე – რაბათის ეზოში მიმდინარე საპროექტო და სამშენებლო სამუშაოები, ნაგებობა №№ L.2; L.2-1; L.2-2; L.2-3.

2011 – ქ. თბილისი – საცხოვრებელი სახლის ინტერიერის მოწყობა – ავეჯის დიზაინი.

2011 – უფლისციხე – მუზეუმისა და სხვა დამხმარე ნაგებობების რეკონსტრუქციის სამშენებლო სამუშაოები – წარმოების არქიტექტურული ზედამხედველობა.

2011 – ჭონქაძის №14 ბ-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის სხვენის მოწყობის პროექტი.

2011 – სოფ. მირზაანი – ნიკო ფიროსმანაშვილის სახ. მუზეუმის ეზოში მდებარე სხვა დამხმარე ნაგებობების: ფიროსმანის დედის სახლი №1 და ბიძაშვილების სახლი №2 არქიტექტურულ-არქეოლოგიური ანაზომი და რესტავრაციის პროექტი.

2011 – ქ. თბილისი, ბოტანიკურ ბაღში ძველი გალავნისა და კოშკების სარესტავრაციო სამუშაოები.

2012 – ქ. ბათუმი, ფარნავაზ მეფის ქ. №9-ში მდებარე სამოქალაქო ნაგებობა. სავაჭრო ფართის რეკონსტრუქცია-გამაგრების პროექტი.

2012 – უფლისციხე – საჩრდილობელისა და სხვა დამხმარე ნაგებობების მოწყობა-აშენების არქიტექტურული ზედამხედველობა.

2012 – დუშეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ფუძნარი, ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის სამშენებლო-სარესტავრაციო სამუშაოები – არქიტექტურული ზედამხედველობა.

2012 – კაცხის სვეტი – სამრეკლოს მოწყობის საპროექტო სამუშაოები

2012 – თბილისი მოლი – საგზაო ნიშნების დაგეგმვითი-საპროექტო სამუშაოები

2012 – ღვინის გზა საქართველოში – საგზაო ნიშნების დაგეგმვითი-საპროექტო სამუშაოები

2012 – ახმეტის მუნიციპალიტეტი, კვეტერას ეკლესიის რეაბილიტაციის პროექტი

2012 - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, ჯიხეთის მონასტრის ტერიტორიაზე ახალი კელიების მოწყობის საპროექტო სამუშაოები

2012 – მოსკოვის პროსპექტი, ქინძმარაულის ქუჩის მიმდებარედ – სავაჭრო ფართის საპროექტო სამუშაოები

2013 – ქ. ბათუმი, ზ. გამსახურდიასა და ხულოს ქუჩების კვეთაზე მდებარე აბანო „ვენეცია"-ს აზომვითი და საპროექტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები

2013 – ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის ქუჩა №39-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის ფასადის აზომვითი და საპროექტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები

2013 – ქ. ფოთი, სინაგოგას ქუჩაზე მდებარე სინაგოგას საპროექტო-სარესტავრაციო სამუშაოები

გიორგი ჭანიშვილი

დიღმის მასივი, 5 კვ., 9 კორპ., ბ.85,
ქ. თბილისი, 0159, საქართველო,
ტელ. 2-52-69-67, მობ. 5(99)28-66-42,
ელ-ფოსტა chanishviligiorgi@gmail.com

განათლება –

1971-1976 - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ხელოვნების ისტორიის ფაკულტეტი, სპეციალობა –ხელოვნების ისტორია;

2009-2011 წწ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის დოქტორანტი;

ენები – ქართული (მშობლიური), რუსული, ინგლისური.

კომპიუტერული პროგრამები: **Mikrosoft Word, Photoshop, Photoimpact, ArcGIS**

პროფესიული გამოცდილება:

2012 წლიდან – საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს არქიტექტურული საბჭოს წევრი;

2006 წლიდან – გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევის ცენტრის მეც. თანამშრომელი;

2005 წელს – არასამთავრობო ორგანიზაცია "საზოგადოება და კულტურული მემკვიდრეობა" (ასოციაცია) ერთ-ერთი დაფუძნებული;

2004 წლიდან – თბილისის ურბანული მემკვიდრეობის შემსწავლელი ჯგუფის სამეცნიერო ხელმძღვანელი;

2003-05 წწ. – რესტავრატორთა გილდიის გამგეობის წევრი;

2002 წლიდან – საქართველოს საპატრიარქოს ხუროთმოძღვრების საბჭოს წევრი;

1998 – 2004 – სს "რესტავრაცია-კონსერვაციის ცენტრი" – მთ. სპეციალისტი;

1995 – 2000 - ICOMOS – ის საქართველოს ეროვნული კომიტეტის წევრი;

1994 – 1998 – ინსტიტუტი „საქრესტავრაცია" - უფროსი მეც. მუშაკი;

1992 – 1994 – ჟურნალ „ძეგლის მეგობრის" სარედაქციო კოლეგიის წევრი;

1992 – 2004 – დმანისის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალი – კონსულტანტი;

1983 - 1994 – საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვის და გამოყენების მთავარი სამმართველო –ხელოვნებათმცოდნეობის განყოფილება – მეც. მუშაკი;

1978 - 1983 – საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვის და გამოყენების მთავარი სამმართველო – რესპუბლიკური ინსპექციის განყოფილება – უფ. ინსპექტორი;

1976 - 1978 – ხალხური ყოფისა და არქიტექტურის ღიაცისქვეშ მუზეუმი – უმც. მეც.მუშაკი;

კვლევის უმთავრესი სფერო:

ხუროთმოძღვრული მემკვიდრეობის ძეგლების ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა, მათი რესტავრაციისა და რეაბილიტაციის პროცესში.

ამ უკანასკნელ წლებში უმთავრესად ვმუშაობ თბილისის და საქართველოს სხვა ქალაქების ურბანული მემკვიდრეობის შესწავლაზე და ხუროთმოძღვრული ნაგებობების გადარჩენისა და რეაბილიტაციის საკითხებზე.

შესრულებული კვლევითი სამუშაოები:

400-ზე მეტი საკულტო და საერო არქიტექტურული ძეგლის სარესტავრაციო, ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული და სახელოვნებათმცოდნეო კვლევა, მათ შორის ისეთ ნაგებობებზე, როგორიცა:

საკულტო ძეგლები: ალავერდის კომპლექსი, აწყურის ტაძარი, ბაგრატის ტაძარი, ვაჩნაძიანის ყველაწმინდა, სამთავროს კომპლექსი, ფიტარეთის კომპლექსი, ნეკრესის კომპლექსი, სამშვილდეს კომპლექსი, გრემის კომპლექსი;

საერო ძეგლები: აწყურის ციხე, გორის ციხე, ქ. სიღნაღის ისტორიული ბირთვი, ქ. თელავის ისტორიული ბირთვი, თბილისის I გიმნაზია, საქართველოს ეროვნული ბანკის შენობა, რუსთაველის თეატრი, მარჯანიშვილის თეატრი, სახელმწიფო კონსერვატორიის შენობა, შატილის კომპლექსი, ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი საგურამოში, საქართველოს პარლამენტის შენობა თბილისში და სხვა.

ეს ნაშრომები ინახება კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს არქივში.

გამოცემული სტატიები და ნაშრომები:

1. ძეგლთა დაცვის ზოგიერთი საკითხის შესახებ – „ძეგლის მეგობარი“, თბ., №57, 1981, გვ.24;
2. „ატენის სიონი“ (ბუკლეტი) – თბ., 1984;
3. „გუჯარეთის ხეობა“ (თანაავტორი) – თბ., 1987;
4. ავენისის არქიტექტურული კომპლექსი – „ძეგლის მეგობარი“, თბ., 1991, №1, გვ. 35;
5. დათუნას ეკლესია დაღესტანში – „ძეგლის მეგობარი“, თბ., 1993, №1, გვ. 41;
6. თბილისის I საშუალო სკოლის რესტავრაციის შესახებ, „ძეგლის მეგობარი“, თბ., 1994, №1, გვ. 54;
7. ხელის გამოსახულებიანი სტელა გომარეთიდან, „ძეგლის მეგობარი“, თბ., 1994, №1, გვ. 63;

8. სოფ. რუისის წმ. დემეტრეს ეკლესია – საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს სამეცნიერო შრომების წელიწდეული, № I, 1995;
9. ვეჯინის სამონასტრო კომპლექსი – ძეგლთა დაცვის სამეცნიერო შრომების წელიწდეული, № II, 1996, გვ. 26;
10. ქვემო ქართლის, XII-XIII სს. დარბაზულ ეკლესიათა ზოგიერთ ნიშან-თვისებათა შესახებ – ძეგლთა დაცვის სამეცნიერო შრომების წელიწდეული, № III, 1998;
11. ექსპედიცია ქვემო ქართლში – „არტანუჯი", თბ., №8/9, 1999წ;
12. ახლად აღმოჩენილი ეკლესია სოფ განთიადთან – ძეგლთა დაცვის სამეცნიერო შრომების წელიწდეული № IV-V, 2001, გვ. 58;
13. „სახლი თბილისის ანჩისხატის უბანში (შავთელის ქუჩაზე)", (თანაავტორი) – თბ., 2006;
14. ისტორიულ-არქიტექტურული პოტენციალის განსაზღვრა შემეცნებითი და ეკო-ტურიზმის მიზნებისათვის (თანაავტორი) – „საქართველოს გეოგრაფია", 2008, 6/7, გვ 105;
15. „სამთავრო – წმინდა ნინოს დედათა მონასტერი" თბ., 2008;
16. ზოგადი დასკვნები და რეკომენდაციები ბაგრატის ტაძრის სრული აღდგენის პროექტთან დაკავშირებით – „ძველი ხელოვნება დღეს", თბ., 2010, 01, გვ. 94;
17. ნეკრესის მონასტრის ე.წ. „საფლავს ზედა ეკლესიის" რეაბილიტაციის შესახებ (თანაავტორი) – „ძველი ხელოვნება დღეს", თბ., 2010, 01, გვ. 31;
18. ადრექრისტიანული საეკლესიო კომპლექსი დმანისიდან (თანაავტორი) – თბ. 2012.

2010წ. სტამბაში გამოსაცემად ჩაშვებული სტატიები და ნაშრომები:

19. „აწყურის ტაძარი", ახალციხის ეპარქიის ძეგლების კრებული;

კონფერენციები:

1997 – მონაწილეობა საერთაშორისო სასწავლო კურსი „ხალხური ხუროთმოძღვრების მნიშვნელობა და მისი დაცვის პრობლემები";

2001 – მონაწილეობა საერთაშორისო სასწავლო კურსი „საერთაშორისო პროექტებისა და გრანტების მომზადება";

2002 – მონაწილეობა რესტავრაციის საკითხებისადმი მიძღვნილ საერთაშორისო კონფერენციაში, თბილისი;

მონაწილეობა პროექტებში:

1994 – 1996 მონაწილეობა საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებულ ხუროთმოძღვრულ ძეგლთა შესახებ საინფორმაციო ბანკის შექმნაში;

1997 – პროექტის ავტორი და დირექტორი – „ქვემო ქართლის უცნობი ხუროთმოძღვრული ძეგლების გამოვლენა;

1998 – მონაწილეობა პროექტში – „თელავის ურბანული მემკვიდრეობის აღრიცხვა და სააღრიცხვო ბარათების შედგენა";

1999 – პროექტის ავტორი, – „ქვემო ქართლის მეგალითური ძეგლების გამოვლენა“;

2004 – მონაწილეობა პროექტში „გარე ავლაბრის ურბანული მემკვიდრეობის კვლევა“;

2005-2006წწ. – მონაწილეობა პროექტში თბილისის ისტორიული ნაწილის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაფარვითი ინვენტარიზაცია“;

2006წ – პროექტის ავტორი – „ქ. თელავის და ქ. სიღნაღის კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონების დადგენა“;

2006წ. – პროექტის ავტორი – „ქ. თბილისის არქივებში არსებული ისტორიული დოკუმენტაციის მოძიება და ციფრული დამუშავება“;

2006წ. – პროექტის ავტორი „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის უძრავ ძეგლ(ებ)ზე მუდმივად განახლებადი კომპლექსური მონაცემთა ბაზის შექმნა“;

2007წ. – პროექტის ხელმძღვანელი. „ დიდი ლიახვის მუზეუმ ნაკრძალის გზამკვლევი, ბუკლეტის მომზადება გამოსაცემად (დიდი ლიახვის ხეობის ძეგლები)“;

2008წ. – პროექტის ხელმძღვანელი. ცხინვალის რეგიონის კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების ნუსხის დამუშავება. ვებ-გვერდზე განთავსთდა რეგიონის კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების ნუსხა და 34 მნიშვნელოვანი ძეგლის ანოტაცია ქართულ და ინგლისურ ენებზე, ფოტოილუსტრაციებით;

2008წ. – მონაწილეობა პროექტში. „ისტორიული პროვინცია თორის (ბორჯომის რ-ნი) უძრავი ძეგლების დაფარვითი ინვენტარიზაცია“;

2008წ. – პროექტის ხელმძღვანელი. „2009წლის კულტურული მემკვიდრეობის სარეაბილიტაციო ობიექტების ნუსხის და კვლევის აქტების შედგენა“;

2010წ. – მონაწილეობა პროექტში. „ნაშრომის მომზადება საპუბლიკაციოდ“ (ნაგზაურის საეკლესიო კომპლექსის არქეოლოგიური გათხრების შედეგები, დმანისის რ-ნი)“;

პედაგოგიური მოღვაწეობა:

1996 – 2007წწ – საბუნებისმეტყველო ლიცეუმის ისტორიისა და ხელოვნების ისტორიის პედაგოგი;

2002-05წწ – თბილისის სამხატვრო აკადემიის რესტავრაციის ფაკულტეტის დიპლომანტების კონსულტანტი.

2010-11 წწ. – პროფესორის ასისტენტი – საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის დოქტორანტურის კურსის ფარგლებში;

ა). მონაწილეობა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გამოყენებით სამეცნიერო კვლევაში და პოპულარიზაციაში.

– ჩატარებული მაქვს 400-ზე მეტი საკულტო და საერო არქიტექტურული ძეგლის ისტორიულ-არქიტექტურული და სახელოვნებათმცოდნეო კვლევა, რისი მთავარი დანიშნულება იყო ნაგებობათა რესტავრაცია და ახალმშენებლობა;

– სისტემატურად ვაქვეყნებდი სამეცნიერო-პოპულარულ სტატიებს ჟურნალ-გაზეთებში. მქონდა გადაცემათა ციკლი საქართველოს რადიოში, რაც ემსახურებოდა ხუროთმოძღვრული ძეგლების პოპულარიზაციას.

ბ). კულტურული მემკვიდრეობის შესახებ ინფორმაციის და დოკუმენტაციის შეგროვება.

– მოპოვებული მაქვს ინფორმაცია და დოკუმენტური მასალა რამდენიმე ასეული ხუროთმოძღვრული ძეგლის შესახებ, საქართველოს სხვადასხვა არქივებსა და წიგნთსაცავებში;

– შედგენილი მაქვს რამდენიმე ასეული ხუროთმოძღვრული ძეგლის დაცვითი ზონა.

– ვმონაწილეობდი საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებულ ხუროთმოძღვრულ ძეგლთა შესახებ საინფორმაციო ბანკის შექმნაში და შედგენილი მაქვს საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებულ ხუროთმოძღვრულ ძეგლთა სია;

გ). კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მეთოდოლოგიის კვლევა და პრაქტიკაში დანერგვა.

– 2005 წელს ვმონაწილეობდი არქიტექტურულ ნაგებობათა ისტორიულ-არქიტექტურული კვლევის და ქალაქების ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმის შედგენის ინსტრუქციის პროექტის შემუშავებაში და ვიყავი ამ პროექტის კონსულტანტი.

– მონაწილეობა მაქვს მიღებული ხუროთმოძღვრული ძეგლების დაცვითი ზონების შედგენის მეთოდოლოგიის შემუშავებაში.

დ). კულტურული მემკვიდრეობის ობიექტთა ფიქსაცია.

– მონაწილეობა მაქვს მიღებული რამდენიმე ათეული ხუროთმოძღვრული ძეგლის აზომვაში და შესრულებული მაქვს, რამდენიმე ათეული პასპორტი და რამდენიმე ასეული სააღრიცხვო ბარათი;

ე). კულტურული მემკვიდრეობის სფეროში სპეციალისტთა მომზადებაში მონაწილეობის მიღება.

– მონაწილეობა მაქვს მიღებული თბილისის სამხატვრო აკადემიის რესტავრაციის ფაკულტეტის სტუდენტთა სასწავლო პრაქტიკაში და ვიყავი დიპლომანტების კონსულტანტი და რეცენზენტი.

20. 02. 2012წ.

საკვალიფიკაციო მონაცემი

სახელი, გვარი:	**თამარ კაპანაძე**
დაბადების თარიღი:	1944წ. 31 ივლისი
დაბადების ადგილი:	ქ.თბილისი
მოქალაქეობა:	საქართველოს მოქალაქე
ოჯახური მდგომარეობა:	დაქორწინებული
შვილები:	ქალიშვილი, ვაჟი
სახლის მისამართი:	ქ.თბილისი, საბურთალოს ქ. №63 ტელეფონი: (995 32) 36 09 15
სამსახურის მისამართი:	საქართველო, თბილისი 0160, ყაზბეგის გამზ. №2 ტელეფონი: (995 32) 237 52 28

განათლება:

1962-68 წ.წ. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, სპეციალობა-ელექტრული სადგურები, კვალიფიკაცია – ინჟინერ-ელექტრიკოსი

პროფესიული გამოცდილება:

1968 წლიდან 2010 წლამდე სს „საქქალაქმშენპროექტი“ – ინჟინერი, უფ. ინჟინერი, ჯგუფის ხელმძღვანელი, პრ. მთავარი ინჟინერი, წამყვანი ინჟინერი, ინჟინერი.

2010 წლის იანვრიდან დღემდე – შპს „ახალი საქქალაქმშენპროექტი“ - ინჟინერი

მნიშვნელოვანი საპროექტო სამუშაოები:

- ათონის გამოქვაბული;
- „დინამოს“ სტადიონი;
- თბილისის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა;
- თბილისის უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტი;
- თბილისის „ოპერისა და ბალეტის“ სახელმწიფო თეატრი;
- საქ. პოლიტექნიკური ინსტიტუტის ენერგეტიკის ფაკულტეტი;
- საქ. პოლიტექური ინსტიტუტის მეტალურგიის ფაკულტეტები;
- თბილისის ონკოლოგიური საავადმყოფო;
- თბილისის სახელმწიფო არქივი;
- თბილისის ბავშვთა და ინფექციური საავადმყოფოების რეაბილიტაცია.
- თბილისისა და ქობულეთის საგადასახადოს რეკონსტრუქცია;
- საბაჟო-გამშვები პუნქტი „ნინოწმინდა“;
- საბაჟო-გამშვები პუნქტი „გუგუთი“;
- საბაჟო-გამშვები პუნქტი „ვალე“;
- სს „სახალხო ბანკის“ ფილიალები;
- 15 და 25 საწოლიანი საავადმყოფოების ტიპიური და მიბმის პროექტები;
- სოციალური მომსახურების ცენტრები საქართველოს მასშტაბით;
- საქ. იუსტიციის სამინისტროს სსიპ – აღსრულების ეროვნული ბიუროს ადმ. შენობის I სართულის რეკონსტრუქცია;
- საქ. უზენაესი სასამართლოს რეკონსტრუქცია (II და VI სართ);
- თეთრიწყაროს მუნიც. კოდის დევნილთა დასახლებაში საბავშვო ბაღის რეკონსტრუქცია.
- ბაგრატის ტაძრის სრული რეაბილიტაციის საინჟინრო კომუნიკაციები;

ენების ცოდნა: ქართული (მშობლიური), რუსული (კარგად), გერმანული (სუსტად).

კომპიუტერის ცოდნა: AutoCAD, Microsoft Office

CV

სახელი,გვარი	ზურაბ გაჩეჩილაძე
დაბადების თარიღი:	1940 წლის 19 მაისი
მოქალაქეობა:	საქართველოს მოქალაქე
ეროვნება:	ქართველი
ოჯახური მდგომარეობა:	დაოჯახებული
მისამართი:	ქ. თბილისი ნუცუბიძის ქუჩა №48 ბინა 17
მობილური:	899 25 13 45
E-mail:	ivertmsheni1@mail.ru
განათლება:	უმაღლესი
1962-67 წწ.	საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი
სპეციალობა:	მშენებელ-რესტავრატორი

ენები:
ქართული-მშობლიური
რუსული-სრულყოფილად

პროფესიული გამოცდილება:

1978-წლიდან	მუშაობს ძეგლთა დაცვის სისტემაში.
1999-2002წწ.	შ.პ.ს. „ხუროთმოძღვრული მემკვიდრეობის რესტავრაციის ცენტრი"-ს მთავარი ინჟინერი.
2002-2007წწ.	შ.პ.ს. „ხუროთმოძღვრული მემკვიდრეობის რესტავრაციის ცენტრი"-ს დირექტორი.
2007 წლიდან	ს.ს."სამშენებლო კომპანია „ივერთმშენში" მშენებელ-რესტავრატორი.

სამუშაო გამოცდილება:

მის მიერ შესრულებულია აღდგენა-რესტავრაციის სამუშაოები ისტორიისა და კულტურის შემდეგ ძეგლებზე: ვარძია, ზემო ვარძია, საფარა, ჭულე, ზარზმა, ბაგრატი, გელათი, ბოლნისის სიონი, წულრულაშენი, ფიტარეთი, ფოკა, ალავერი, ჯვარი,გ.ჩიტაიას სახელობის სახელმწიფო ეთნოგრაფიული მუზეუმის „სიღნაღური სახლი", იუსტიციის სამინისტროს შენობის ფასადი, სამების ტაძრის ფასადის ნაწილი და სხვ.

მერაბ ძნელაძე

(მოკლე ინფორმაცია)

დაიბადა ქ. თბილისში 1951 წლის 18 აპრილს.
ჰყავს მეუღლე, სამი შვილი და შვილისშვილები.
განათლება – უმაღლესი (თსუ-ის ისტორიის ფაკულტეტი).
პროფესია – ისტორიკოსი, არქეოლოგი, პედაგოგი.
სამეცნიერო ხარისხი, წოდება – ისტორიის დოქტორი, პროფესორი, სეა-ს აკადემიკოსი
დაჯილდოვებულია "ღირსების" ორდენითა და "სახალხო განათლების
წარჩინებული"-ს სამკერდე ნიშნით.
საცხოვრებელი ადგილი: თბილისი, ხათუნა დონდუას ქ. №1.
591 650 955 მობ. ტ.296-95-24 სახლი. ელ.მისამართი: მერაბი-ძნელაძე © რამბლერ.რუ
1970-1772 წწ. მოიხადა სამხედრო სავალდებულო სამსახური.
საქმიანობა – სამეცნიერო (კულტურული მემკვიდრეობა) და პედაგოგიური.
2006 წლიდან დღემდე - საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთარ ლორთქიფანიძის
არქეოლოგიის ცენტრის თანამშრომელია.
1975-2006 წწ. - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის
ცენტრი, უფროსი მეცნიერ თანამშრომელი.
1992-2002 წწ. - ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველო, მთავარი სპეციალისტი, სამეცნიერო განყოფილების გამგე, ექვთიმე თაყაიშვილის სახ. გურიის მხარის მუზეუმ-ნაკრძალის დირექტორი (1998-2002 წწ).

აქტიურ მონაწილეობას იღებს ისტორიული ძეგლებისა და ეკლესიების არქეოლოგიურ გათხრებსა და აღდგენა-შესწავლაში. მისი მონაწილეობითა და ხელმძღვანელობით შესწავლილი იქნა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები: მცხეთაში (სვეტიცხოველი, კარსნისხევი, მოგვთაკარი, კოდმანი, ღართისკარი, ნარეკვავი და სხვ.), ძველი თბილისის უბნებში: წმ. ორმოც სებასტიელ მოწამეთა, ნარიყალას წმ.ნიკოლოზისა და კლდისუბნის წმ.გიორგის ეკლესიები, აბოს ნიში, « სობოროს მონასტრის » სამაროვანი, ნარიყალა, ერეკლეს მოედანი, ანჩისხატთან, პუშკინის ქუჩაზე აღმოჩენილი ქალაქის გალავანი – « დიღმის კართან », ბოტანიკური ბაღის ტერიტორია- »განჯის კართან»; საქართველოს სხვადასხვა ადგილებში: ბოდბის წმ. გიორგისა და ნინოს ტაძარი, ლაბეჭინას ღვთისშობლის, რგანის, კორბოულის დუმაცხოვრის, ვაშნარის სამონასტრო კომპლექსის-ნაქალაქარის, მამათის წმ. გიორგის, მიქაელ-გაბრიელის თემში ანდრია პირველწოდებულისა და დვაბზუს ეკლესიები; ასევე, დმანისის, ახალციხის, ახალქალაქის, ზოგადად, გურიასა და სხვა ისტორიულ მხარეებში აღმოჩენილი ძეგლები.

მონაწილეობას იღებს როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო სამეცნიერო კომფერენციებში. ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას თბილისის, ბათუმისა და ოზურგეთის უმაღლეს სასწავლებლებში.

გამოქვეყნებული აქვს 5 მონოგრაფია და სამოცზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი; არის პუბლიცისტური წერილების ავტორი.

პერსონალური მონაცემები

თამაზ იაქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ბერძენიშვილის ქ. №4
ტელ: 22-41-52; 877-44-46-18

განათლება: უმაღლესი.
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ფიზიკის ფაკულტეტი

კვალიფიკაცია: ტექნოლოგი,
ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი
(სპეც. "საშენი მასალები და ნაკეთობანი", თემა: "ქვის მასალების კონსერვაცია გაჟღენთვის მეთოდით არქიტექტურული ძეგლების ხანგამძლეობის გაზრდის მიზნით")

ცნობები საქმიანობის შესახებ:

1972 - 1983 წწ.	სპეც. სამეცნიერო სარესტავრაციო გაერთიანება - სამეცნიერო კვლევითი ტექნოლოგიური ლაბორატორიის ხელმძღვანელი
1983 - 1991 წწ.	დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში.
1991 წლიდან	მთავარი ტექნოლოგი
2003 წ.	ს.ს. "რესტავრაცია-კონსერვაციის ცენტრი"-ს დირექტორი
2004 წ.	შპს "რესტავრატორები და კომპანია"-ს დირექტორი

პრაქტიკოს-რესტავრატორის გამოცდილება:

1. ვარძია (1973-1975), 2. უფლისციხე (1974-1977), 3. ეთნოგრაფიული მუზეუმის ობიექტები (1974-1978, 1988-1989), 4. ჯვრის ტაძრის ინტერიერი (1978), 5. ჰამამლოს ეკლესია (1978), 6. ლამაზი საყდარი (1979), 7. სვეტიცხოველი (1979), 8. წულრუღაშენის გაწმენდა საღებავისა და ჭუჭყისაგან (1980), 9. აკაურთას ეკლესიის ფასადის გაწმენდა (1980), 10. საფარას სამონასტრო კომპლექსის გაწმენდა (1980-1981), 11. გურჯაანის ყველაწმინდა (1980), 12. ვაჩნაძიანის ყველაწმინდა (1980), 13. მწვანე მონასტერი (1981) 14. ნინოწმინდის ტაძარი (1981), 15. ბათუმის თამარის ციხე (1981), 16. ნოქალაქევი (1982), 17. წერაქვის სამონასტრო კომპლექსი (1982-1986), 18. ახალციხის რაბათის მეჩეთის გაწმენდა (1982), 19. ახალციხის სომხური ეკლესია (1983), 20. ვანის ნაქალაქარი (1983), 21. ზედა ვარძია (1983), 22. ზარზმის ეკლესიის გაწმენდა (1984), 23. ჭულეს გაწმენდა (1984), 24. ვანის ქვაბები (1984), 25. ბატონის სასახლე თელავში (1984), 26. ჩინთის კოშკი (1985), 27. გუდარეხი (1985), 28. აბანოების კომპლექსი თბილისის

ძველ უბანში (1985-1986), 29. ჩრდილოეთ კავკასია, არხიზის სამონასტრო კომპლექსი (1986-1987), 30. ნიკორწმინდა (1983-1984, 1990-1991, 1996-1997), 31. ბაგინეთი (1989-1990, 2000-2001), 32. ალავერდის ტაძარი (1990-1991), 33. ყოფილი ბანკის შენობა რუსთაველის თეატრის გვერდით (1995-1996), 34. ეროვნული ბანკის შენობა (1997-1999), 35. საქართველოს ბანკის სათავო ოფისის შენობის ფასადი (2000), 36. რუსთაველის თეატრის შენობის ფასადი (2002), 37. ბათუმის ბავშვთა საბალეტო სტუდიის დარბაზი (2001-2003), 38. TBC ბანკის ცენტრალური ფილიალის შენობის ფასადი (ყოფილი უნივერმაღის შენობა) (2002-2003), 39. რუსთაველის თეატრის დიდი და მცირე დარბაზების, ფოიეების, კორიდორების, კაფე "ქიმერიონის" სარესტავრაციო სამუშაოები (2003-2005), 40. კ. მარჯანიშვილის თეატრის სარესტავრაციო სამუშაოები (2004-2005), 41. ბამბის რიგები "მონტაშოვის რიგების"პორტალი და აგურის ფასადი (2004), 42. ჯ. კახიძის სახელობის მუსიკალური ცენტრის ფასადის და მოხატული დარბაზის სარესტავრაციო სამუშაოები (2005), 43. კონსერვატორიის დიდი და მცირე დარბაზები, ჰოლები, კორიდორები (2005), 44. მცხეთის ჯვრის საკონსერვაციო სამუშაოები ICCROM-ის სპეციალისტებთან ერთად. 45. TBC ბანკის ვერის ფილიალის ფასადი (2006), 46. ყიფშიძეების საცხოვრებელი სახლი (XIX ს) ზემელზე, საბაგირო სადგურის უკან (2004-2006).

47. კონსერვატორიის შენობის ფასადების რესტავრაცია (2006-2007 წ.). 48. რუსთაველის გამზ. №26 ფასადის რესტავრაცია (2007 წ.) 49. ბათუმის არქიტექტორთა სახლის ფასადის რესტავრაცია (2007 წ.). 50. რუსთაველის გამზ. № 18 და № 40 სახლების ფასადების რესტავრაცია (2008 წ.). 51. რუსთაველის გამზ. № 17 ფასადის გაწმენდა- რესტავრაცია (2008 წ.). 52. საჯარო ბიბლიოთეკის ფასადის რესტავრაცია (2008 წ.). 53. "თი-ბი-სი" ბანკის ბათუმის ფილიალის ფასადის რესტავრაცია, ინტერიერის სარესტავრაციო ნაწილის აღდგენითი სამუშაოები (2008 წ.). 54. წინანდალში ალ. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის სარესტავრაციო სამუშაოები (2008 წ.).

სამეცნიერო სამუშაოები :

გამოქვეყნებულია 20-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მ.შ საზღვარგარეთაც.

მიღებულია 4 გამოგონებაზე საეტორო მოწმობები.

ოზურგეთის აბანოს კონსერვაციისა და გადახურვის ესკიზური პროექტის შემოთავაზება

შ.პ.ს. „რესტავრატორები და კომპანია“

დირექტორი თ. იაქაშვილი

თბილისი 2013 წელი

განმარტებითი ბარათი

არქეოლოგიური ძეგლი, რომელიც მდებარეობს ქ. ოზურგეთის ცენტრში, თეატრის პირდაპირ, იუსტიციის სახლისა და მუნიციპალიტეტის მუზეუმის მიმდებარე ტერიტორიაზე, წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს.

თავდაპირველად ნაგებობის ფუნქციური დანიშნულება იყო აბანო. რომაულ სტილში გადაწყვეტილი კომპოზიცია გურიელის რეზიდენციის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი ყოფილა და დათარიღებულია 1818-1827 წლებით.

ათეული წლების მანძილზე შენობა მიტოვებული და სავალი გზის (ასფალტის ფენილის) ქვეშ იყო მოყოლილი. არსებული ნაგებობა ასფალტის გზის პირიდან დაახლოებით 1.2-1.5 მეტრითაა ჩაღრმავებული. კედლების ნაშთები ძლიერ დაზიანებულია, როგორც კლიმატური პირობების – დატენიანების გამო, ისე მექანიკურად მიყენებული დაზიანებებით. კედლები გარღვეულია აზბო-ცემენტის მილის გადასაყვანად, რომელშიც სადენებია გატარებული და უერთდება საკაბელო ჭას – იგი ნაგებობის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მდებარეობს.

ნაგებობა ორსართულიანია, პირველი სართული დაახლოებით 0.8-1.2 მ. სიმაღლისაა და გათვალისწინებული იყო თბილი ჰაერის მასებისთვის – აბანოს იატაკის გასათბობად. მეორე - ზედა სართულის მხოლოდ იატაკის ნაშთებია შემორჩენილი, სადაც თავდაპირველად ცივი და თბილი წყლის ოთახები იყო. თბილი ოთახის იატაკი უხეშად დამუშავებული თლილი ქვით იყო მოფენილი, ახლა კი მისი დიდი ნაწილი დაზიანებულია.

დაზიანებულია იატაკის გადალესვა და (ინტერიერში) ქვედა სართულში ჩაედინება წვიმის წყალი, რის გამოც, დროთა განმავლობაში შესაძლებელია მთლიანად ძეგლის დაკარგვა. შესაბამისად, ძეგლი საჭიროებს აუცილებელი საკონსერვაციო-გამაგრებითი სამუშაოების ჩატარებას.

ჩასატარებელია არქიტექტურული კვლევა - რომელიც მოიცავს ძეგლის გრაფიკულ ფიქსაციას, ანაზომსა და ზონდაჟების გაკეთებას კედლის სიბრტყეში, შურფების გაკეთებას, რათა დადგინდეს ნაგებობის საძირკვლები და მათი მდგრადობა, ფოტოფიქსაცია, ისტორიულ- არქიტექტურულ-სახელოვნებათმცოდნეო ანალიზი – დასკვნა-რეკომენდაციები, კონსტრუქციული ნაწილი და რეკომენდაციები. ყველა ამ კვლევის მიხედვით შესაძლებელი გახდება წარმოგიდგინოთ ნაგებობის გამაგრება-კონსერვაციის საპროექტო დოკუმენტაცია. შემდგომში უკვე სამშენებლო სამუშაოების ჩასატარებლად.

ძეგლის დასაცავად მოსაწყობი გადახურვისთვის ესკიზების მომზადებამდე კონსულტაცია გავიარეთ არქეოლოგებთან - ბატონ მერაბ ძნელაძესა და ვაჟა სადრაძესთან, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ 2012 წლის აბანოს გათხრების ექსპედიციას.

ჩვენი ჯგუფის თავდაპირველი ვერსია იყო მოგვეწყო ისეთი ტიპის გადახურვა, რომელიც არ დაამძიმებდა ქალაქის ცენტრის არსებულ განაშენიანებას, ამდენად ვაწყობდით საკონსერვაციო ფენას არსებულ კედლებზე და არქეოლოგიურ ნაშთებს ბრტყელ – მინის პაკეტს ვაფარებდით, რომელიც თავისთავად უძლებს 400 კგ. დატვირთვას 1 კვ.მ-ზე, აგრეთვე ვაწყობდით განათებებს იატაკის ნიშნულიდან ქვევით, რაც კიდევ უფრო ეფექტურს გახდიდა მინის საფარს. თუმცა არქეოლოგებთან კონსულტაციის დროს გაირკვა, რომ ნაგებობა სრულად ჯერ არ არის გამოვლენილი და საჭიროებს 1.5 მ.-ით აღმოსავლეთით და 3 მ.-ით სამხრეთით გათხრას, რათა დადგინდეს ნაგებობის ძირითადი საზღვრები. ამავე დროს თუ გავითვალისწინებთ მოცემული რეგიონის კლიმატურ პირობებს, ამ ტიპის გადახურვის მოწყობის შემთხვევაში აუცილებელი გახდებოდა მინის საფარის ქვეშ განიავებისა და იძულებითი ვენტილაციის მოწყობა.

ამიტომ გთავაზობთ ალტერნატიულ ვარიანტს, რომელიც წარმოდგენილია ფანჩატურის ტიპის კონსტრუქციით (იხ. რენდერები). შემდგომში გათხრების გაგრძელების შემთხვევაში შესაძლებელი იქნება ფანჩატურის გაფართოება გამოვლენილი ნაშთების დასაცავად (იხ. სამომავლოდ არქეოლოგიური სამუშაოების გაგრძელების შემთხვევაში გადახურვის განვითარების სქემა).

ამ ეტაპზე, არქეოლოგიური გათხრების შემდეგ ნაგებობის ირგვლივ ამოშენებულია ბლოკის კედლები, რომელმაც ასფალტის საფარის ნიშნულიდან 2 ბლოკით, დაახლოებით 40-45 სმ.-ით აიწია ზევით.

გადახურვის მოწყობამდე თავდაპირველად უნდა მოხდეს ზემოთ ხსენებული ბლოკის კედლების დემონტაჟი; გაიწმინდოს ნაშთები მცენარეული საფარისგან და დამუშავდეს შესაბამისი ხსნარებით, რათა შემდგომში ისევ არ მოგვიხდეს მცენარეულ საფართან ბრძოლა; ამოიწმინდოს ძეგლი ჩაყრილი ფოთლების, მიწისა და „ნაგვისა“-გან არქეოლოგის ზედამხედველობის ქვეშ; მოეწყოს წყალგადამყვანები როგორც ძეგლზე, ასევე სახურავზე და სადრენაჟო სისტემა, რათა არ მოხდეს წყლის დაგროვება; გაკეთდეს საკონსერვაციო ფენა არსებულ კედლებზე; მოეწყოს დამცავი ბარიერი ფანჩატურის ირგვლივ და შეიფუთოს ან თუ შესაძლებელია გადატანილ იქნეს სხვა ადგილას არსებული აზბო-ცემენტის მილი სადენებით.

ფანჩატურის ტიპის გადახურვის დადებითი თვისებები იმაში მდგომარეობს, რომ ტენიან გარემოში ნაგებობის ნაშთებს ექნება მუდმივი განიავების საშუალება. წყალგადამყვან და სადრენაჟე სისტემასთან ერთად გადახურვა უზრუნველყოფს ღია არქეოლოგიური ძეგლის დაცვას გარემო პირობებისაგან და ძეგლის შენარჩუნებას არსებულ მდგომარეობაში.

პროექტის ფარგლებში გათვალისწინებული უნდა იყოს მიწის გრუნტის მოწესრიგება ძეგლის პერიმეტრზე, რაც შესაძლებელია თანამედროვე მასალების გამოყენებით, ვფიქრობთ გამოვიყენოთ რკინა-ბეტონის კედელი ძეგლის მხრიდან უხეშად დამუშავებული ხის ფაქტურით.

არქეოლოგიური ნაშთების გადახურვა იუსტიციის სახლის მსგავსად მოეწყობა კოლონებზე მსუბუქი კონსტრუქციითა და ჰიდროიზოლაციის ორმაგი ფენილით.

ჩრდილოეთი და დასავლეთი ფასადები შემოსილია მინის ვიტრაჟებით, ხოლო სხვა ნაწილში მინის მოაჯირები - ბარიერია მოწყობილი.

მოცემული კონსტრუქცია საშუალებას გვაძლევს შემდგომში გათხრების გაგრძელებისა და „აღმოჩენილი“ ნაშთების დასაცავად გავაგრძელოთ კოლონებისა და ბრტყელი გადახურვის რითმი დონეების რეგულირებით.

განათების სისტემები უნდა მოეწყოს როგორც აბანოს პირველი სართულის სათავსოებში, ისე გადახურვის შიგნითაც.

გათხრილი ნაგებობის გაბარიტული ზომები არის 20.5X8.5 მ. და ფართობი შეადგენს 174.25 კვ.მ-ს.

კვლევითი და საპროექტო სამუშაოებისათვის, დაწვრილებით წარმოგიდგენთ კალენდარულ გეგმა-გრაფიკს ქვემოთ მოცემულ ცხრილში.

არქიტექტორ-რესტავრატორი

/ ხ.ა.ინწკირველი / ნ. ინწკირველი

სამუშაოების მეთოდოლოგიის განსაზღვრა ნაგებობის მხატვრულ-ისტორიული ღირებულების გათვალისწინებით და რეკომენდაციები დასაშვები ჩარევის შესახებ

აბანოს ნაშთი საინტერესო არქეოლოგიური და არქიტექტურული ძეგლია, რომელიც გამოვლინდა ქ. ოზურგეთის ცენტრში. შემორჩენილია ნანგრევების სახით. სამშენებლო მასალად გამოყენებულია, რიყისა და ფლეთილი ქვა და „ქართული აგური“. ეს უნდა იყოს გვიანი ხანის აბანო რომელშიც ჩანს ადრეული რომაული და ქართული აბანოების კონსტრუქციული და გეგმარებითი პრინციპები.

აბანო აღმოჩენილია არქეოლოგიური გათხრების შედეგად, თუმცა გათხრები ბოლომდე არ არის დასრულებული. აუცილებელია ნაგებობის ისტორიულ-არქიტექტურული გამოკვლევა.

წინასწარ, უნდა ითქვას, რომ შესაძლებელი ჩანს აბანოს შემორჩენილი ნაშთების მხოლოდ გამაგრება-კონსერვაცია და არქეოლოგიური ზედამხედველობა საკონსერვაციო სამუშაოების დროს.. შესაბამისი კვლევების შედეგად უნდა დადგინდეს საკონსერვაციო ფენების სისქე და მოცულობა.

აბანოს ნაშთების ხედვითი წარმოჩენისთვის (ექსპონირებისთვის) და ატმოსფერული ზეგავლენისგან მისი დაცვისთვის სასურველია:

გაიწმინდოს ნანგრევები მიწის, მცენარეული საფარისა და გვიანდელი დანამატებისგან;

შესაძლებელი ჩანს მოიხსნას ახლად ამოშენებული „ბლოკის“ წყობის შეუსაბამო კედლები და ნაგებობის გარე პერიმეტრზე, ჩამოშლილი მიწა გამაგრდეს ბეტონის და თანამედროვე მასალის სათანადო სტრუქტურული და მხატვრული სახის კონსტრუქციით (დახრილი სიბრტყეები, მოაჯირები) ძეგლის ექპონირებისათვის ხელშესაწყობად. ბეტონი არ უნდა დაისხას იმ ნაწილში სადაც შესაძლებელია არქეოლოგიური გათხრების გაგრძელება;

შესაძლებელი ჩანს ასევე, კონსერვირებული ნანგრევი გადაიხუროს მსუბუქი ფორმის ფანჩატურით რომელსაც სასურველია ჰქონდეს გარემოსათვის ადაპტირებული მხატვრულ-კონსტრუქციული სახე.

ხელოვნებათმცოდნე –  გია ჭანიშვილი

24. 04. 2013წ.

კალენდარული გეგმა-გრაფიკი

№№	სამუშაოს დასახელება	I კვირა	II კვირა	III კვირა	IV კვირა	V კვირა	VI კვირა	VII კვირა
1	არქიტექტურული კვლევა							
2	ფოტოფიქსაცია							
3	სახელოვნებათმცოდნეო კვლევა							
4	ძეგლზე გამოყენებული მასალების კვლევა							
5	საკონსერვაციო პროექტი							
6	გადახურვის მოწყობის პროექტი							
7	კონსტრუქციული პროექტი							
8	ელექტროობის (განათების) პროექტი							
9	წყალგადამყვანისა და სადრენაჟო სისტემის მოწყობის პროექტი							
10	სამუშაოთა წარმოების ორგანიზაციის პროექტი							
11	ხარჯთაღრიცხვა							
12	არქეოლოგის ზედამხედველობა							

საპროექტო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა

№№	სამუშაოს დასახელება	ღირებულება ლარებში
1	არქიტექტურული კვლევა (არქიტექტურულ-არქეოლოგიური ანაზომის, სიტუაციური და ტოპოგრაფიული გეგმების ღირებულებათა ჩათვლით)	3207.6
2	ფოტოფიქსაცია	415.8
3	სახელოვნებათმცოდნეო კვლევა	1485
4	ძეგლზე გამოყენებული მასალების კვლევა	1247.4
5	საკონსერვაციო პროექტი	1485
6	გადახურვის მოწყობის პროექტი	1954.26
7	კონსტრუქციული პროექტი	2673
8	ელექტროობის (განათების) პროექტი	1485
9	წყალგადამყვანისა და სადრენაჟო სისტემის მოწყობის პროექტი	1485
10	სამუშაოთა წარმოების ორგანიზაციის პროექტი	968.22
11	ხარჯთაღრიცხვა	534.6
	ჯამი	16940.88
	დღგ 18%	3049.36
	ჯამი	19990.24

ხედი იუსტიციის სახლზე

მთლიანი ხედი აბანოზე სამხრეთისკენ

გათხრების დროს

მთლიანი ხედი აბანოზე ჩრდილოეთისკენ

გათხრების დროს



არქეოლოგიური გათხრების ანგარიში - გეგმა

დღევანდელი

მდგომარეობა



რენდერები







რენდერები



ფოტომონტაჟი

სამომავლოდ არქეოლოგიური სამუშაოების გაგრძელების შემთხვევაში გადახურვის განვითარების სქემა